საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა

ფედერაცია

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია
„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის" გამგეობის
სხდომაზე ოქმი N3
04.04.2019 წელი

გამგეობის თავმჯდომარე: [illegible]

განათლების კომიტეტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 დებულება შემუშავებულია **„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის"** (შემდგომში **„ფედერაცია"**, შემოკლებულად **„ბაფ"**) **წესდების, „ბუღალტრულლი აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ"** საქართველოს კანონისა და **„ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის"** (შემოკლებით **„ბსფ"**) (IFAC) მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.

1.2. დებულება განსაზღვრავს **„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცი"**-ის სტრუქტურული ერთეულის - **„განათლების კომიტეტი"**-ს მიზნებს, უფლება-მოვალეობებს, მუშაობის წესებსა და პროცედურებს.

1.3. **„განათლების კომიტეტი"** იქმნება **„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის" „დებულება კომიტეტების შესახებ"**- შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 ამ დებულების მიზნებისთვის ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

„ბაფი" - „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია";

"ბსფ" („IFAC „)- „ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია";

„კომიტეტი" - „განათლების კომიტეტი";

„ქვეკომიტეტი" - „კომიტეტის" ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული

„კანონი“ - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„სამსახური“ - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური“

„ეთიკის კოდექსი“ - ,,ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის” მიერ დამტკიცებული პროფესიონალ ბუღალტერთა ,,ეთიკის კოდექსი”.

,,განათლების სტანდარტი” - ,,**ბსფ**”-სა და **,,ბაფ**”-ის ბუღალტრის განათლების სტანდარტები;

,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი” - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ მიღებული ,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი”;

,,განგრძობითი განათლების სტანდარტი” -„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ მიღებული ,,განგრძობითი განათლების სტანდარტი”;

,,სერტიფიცირების პროგრამები” - ა) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ აღიარებული ბუღალტერთა სერტიფიცირების სრული სასერტიფიკაციო პროგრამა და **ბ**) ,,ბაფ”-ის **,,**განათლების სტანდარტისა” და დებულების შესაბამისად დადგენილი ,,მთავარ ბუღალტერთა სერტიფიცირების პროგრამა”;

,,საგამოცდო კომისია” - სერტიფიცირების პროგრამების საგამოცდო პოლიტიკითა და პროცედურებით განსაზღვრული წესების აღმასრულებელი, ,,განათლების კომიტეტის” სტრუქტურა;

,,აუდიტორი “- აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირი;

,,სერტიფიცირებული/პროფესიონალი ბუღალტერი” - კანონით აღიარებული ან/და პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებული, ,,ბაფ”-ის ნამდვილი წევრი;

,,სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტერი” - ,,ბაფ”-ის **,,**განათლების სტანდარტისა” და ,,მთავარ ბუღალტერთა სერტიფიცირების დებულების” შესაბამისად სერტიფიცირებული, ბიზნესში დასაქმებული ,, ბაფ”-ის წევრი.

მუხლი 3. კომიტეტის მისია

,,კომიტეტის“ მისიაა ხელი შეუწყოს **,,ბაფის**“ წევრი ბუღალტრებისა და აუდიტორების მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას, მათი პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და სერტიფიცირების გზით, განათლების დონის ამაღლების საფუძველზე.

მუხლი 4. კომიტეტის მიზნები

,,კომიტეტის“ საქმიანობის მიზანია, ბუღალტერთა/აუდიტორთა განათლებისა და სერტიფიცირების პროცესში, ,,პროფესიული სერტიფიცირების პროგრამებითა” და ,,განათლების სტანდარტებით” მოთხოვნილი განათლების საუკეთესო გამოცდილების დანერგვა; განათლებისა და სერტიფიცირების პროცესში კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აგრეთვე, **,,ბაფ”**-ის პოლიტიკითა და პროცედურებით დადგენილი წესების მოთხოვნების შესრულება, პროცესებზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის გზით.

მუხლი 5. კომიტეტის შექმნის წესი, სტრუქტურა და შემადგენლობა

5.1 **,,განათლების კომიტეტის“** შექმნაზე გადაწყვეტილებას იღებს **,,ფედერაციის გამგეობა“;**

5.2.**,,განათლების კომიტეტის“** სტრუქტურა მოიცავს განათლებისა და სერტიფიცირების პოლიტიკითა და პროცედურებით დადგენილი წესების აღმასრულებელი და საზედამხედველო სტრუქტურების შემდეგ ფუნქციურ რგოლებს :

ა),, **სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭო“ (,,ქვეკომიტეტი“);**

- ,,**საგამოცდო კომისია“** (აღმასრულებელი რგოლი);

ბ) ,,**სასერტიფიკაციო პროგრამების სამეთვალყურეო საბჭო“(,,ქვეკომიტეტი“);;**

გ) ,,**განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო“(,,ქვეკომიტეტი“);.**

5.3 **,,განათლების კომიტეტი”** შედგება **,,კომიტეტის წევრებისგან“.**

5.4 **,,კომიტეტის“** საქმიანობას ხელმძღვანელობს **,,კომიტეტის“** თავმჯდომარე.

5.5 **,,კომიტეტის“** გადაწყვეტილებები სავალდებულოა **,,ბაფ“**-ის წევრებისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფებისთვის.

5.6 ,,განათლების კომიტეტს” კომუნიკაცია აქვს **,,ბაფ“**-ის სხვა **,,კომიტეტებთან“.**

მუხლი 6. კომიტეტის ფუნქციები

6.1. **,,კომიტეტის**“ დებულების მუდმივი სრულყოფა და განახლება.

6.2. **,,ბაფ“**- ისთვის კანონით მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად, განათლებისა და სერტიფიცირების პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა;

6.3. სერტიფიცირების პროგრამებისა და ,,განათლების სტანდარტების“ საუკეთესო გამოცდილების დანერგვა.

6.4. განათლებისა და სერტიფიცირების პოლიტიკისა და პროცედურების

დადგენილი წესების შესრულებაზე ზედამხედველობა და მონიტორინგი;

6.5. პროფესიული განათლების საკვალიფიკაციო კრიტერიუმების განსაზღვრა;

6.6. პროფესიული სერტიფიცირების დებულებების შემუშავება, სრულყოფა და

აღსრულების მონიტორინგი;

6.7. სერტიფიცირების პროგრამების შემუშავება, განახლება:

6.7.1. სერტიფიცირების პროგრამების ეფექტიანობის შეფასება;

6.7.2. საგამოცდო ტესტების შემუშავების პროცესის მართვის სისტემის განვითარება;

6.7.3. შეფასების პროცესის განვითარება;

6.7.4. ანალიზური პროცედურების დანერგვა;

6.7.5. განგრძობითი სწავლების პროგრამების შემუშავება, სამსახურთან შეთანხმება, განხორციელება და აღსრულების მონიტორინგი;

7. ქვეკომიტეტები (შემდგომში ,,საბჭოები“)

7.1 **,,საბჭოები“** იქმნება **,,კომიტეტის“** გადაწყვეტილებით, **,,ბაფ**“-ის გამგეობასთან შეთანხმებით, **,,საბჭოების“** შექმნის მიზანს მათი მუშაობის რეგლამენტსა და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს **,,კომიტეტი“ .**

7.2 **,,კომიტეტის“** გადაყვეტილებით **,,ბაფ“**-ის გამგეობასთან შეთანხმებით, **,,კომიტეტის“** ფუნქციები შეიძლება დელეგირებული იყოს **,,საბჭოებზე“**.

7.3 **,,საბჭოების”** წევრები ირჩევა ,,**კომიტეტის“** შემადგენლობიდან.

7.4 **,,საბჭოს”** ხელმძღვანელობს **,,კომიტეტის“** არამოწვეული წევრი.

7.5 **,,განათლების კომიტეტს“** აქვს 3 **,,საბჭო“:**

7.5.1. ,,**სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭო“ (,,ქვეკომიტეტი“); ,,საბჭო“** შედგება **საბჭოს ხელმძღვანელისა** და 3 წევრისგან, რომლებიც ირჩევიან **,,განათლების კომიტეტის“** შემადგენლობიდან. მათი უფლებამოსილების ვადა განსაღვრულია 2

წლით და გრძელდება საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევამდე. **,,საბჭოს“** წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ჩართულია კანდიდატთა სწავლების პროცესში.

7.5.1.1 **,,სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭოს“** ფუნქციებია:

ა) საგამოცდო პროცესის წარმართვის წესის შემუშავება და დასამტკიცებლად წარგნენა **,,განათლების კომიტეტში“;**

ბ) საგამოცდო პროცესის ზედამხედველობის პოლიტიკის განსაზღვრა;

გ) საგამოცდო პროცესის მონიტორინგი;

დ) საგამოცდო პროცესის მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე:

- საგამოცდო პროცესის წარმართვის წესის სრულყოფის წინადადების შემუშავება და კომიტეტისათვის განსახილველად წარდგენა;
- საგამოცდო პროცესის წარმართვის წესის არასათანადო გამოყენებისათვის დასაკისრებელი პასუხისმგებლობის წინადადების მომზადება და კომიტეტისათვის განსახილველად წარდგენა;

7.5.2. საგამოცდო პროცესს დამოუკიდებლად ანხორციელებს ,,**საგამოცდო კომისია“,**

რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელ რგოლს და რომლის ფუნქციები განსაზღვრულია **,,ბაფ“**-ის **,, საგამოცდო კომისიის დებულებით“;**

7.5.3 ,,**სასერტიფიკაციო პროგრამების სამეთვალყურეო საბჭო“(,,ქვეკომიტეტი“)** - შედგება **საბჭოს ხელმძღვანელისა** და 2 წევრისგან, რომლებიც ირჩევიან **,,განათლების კომიტეტის“** შემადგენლობიდან. მათი უფლებამოსილების ვადა განსაღვრულია 2 წლით და გრძელდება **,,საბჭოს“** ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

7.5.3.1 ,,**სასერტიფიკაციო პროგრამების სამეთვალყურეო საბჭო“ -** ს ფუნქციებია:

ა) სასერტიფიკაციო პროგრამის სრულყოფის მიზნით:

1) დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა გამოკითხვის გზით;
2) გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
3) სრულყოფის წინადადების მომზადება და **,,კომიტეტისათვის“** განსახილველად წარდგენა;

ბ) სწავლების განვითარების მიზნით:

1) სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
2) კითხვარების მომზადება კანდიდატების გამოსაკითხავად;
3) გამოკითხვის შედეგების შეჯამება;
4) სწავლების გასაუმჯობესებელი წინადადების მომზადება მონიტორინგისა და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით და **,,კომიტეტისათვის“** განსახილველად წარდგენა;

7.5.4 ,,**განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო“(,,ქვეკომიტეტი“)** - შედგება **საბჭოს ხელმძღვანელისა** და 2 წევრისგან, რომლებიც ირჩევიან **,,განათლების კომიტეტის“**

შემადგენლობიდან. მათი უფლებამოსილების ვადა განსაღვრულია 2 წლით და გრძელდება **,,საბჭოს“** ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

7.5.4.1 ,,**განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო“** -ს ფუნქციებია:

ა) განგრძობითი განათლების თემატიკის განსაზღვრა და **,,კომიტეტისათვის“** განსახილველად წარდგენა;

ბ) განგრძობითი განათლების მოცულობის დადგენა და **,,კომიტეტისათვის“** განსახილველად წარდგენა;

გ) **,,ბაფის“** აღმასრულებელი ხელმძღვანელობისათვის ტრენინგების კონკურსის გამოცხადების მოთხოვნა და **,,კომიტეტისათვის“** განსახილველად წარდგენა;

დ) განგრძობითი განათლების მონიტორინგი;

ე) განგრძობითი განათლებისაგან თავის არიდებისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის წინადადების მომზადება და **,,კომიტეტისათვის“** განსახილველად წარდგენა;

მუხლი 8. კომიტეტის წევრები

8.1 კომიტეტის წევრთა უფლება-მოვალეობები

8.1.1 **,,კომიტეტის“** წევრები არიან **,,ფედერაციის“** წევრები. **,,კომიტეტებში“** შეიძლება მოწვეულნი იყვნენ **,,კომიტეტის“** ფუნქციებში კომპეტეტნტური ფედერაციის არაწევრი პირები (მოწვეული წევრი);

8.1.2. **,,კომიტეტის“** შემადგენლობას განსაზღვრავს **,,განათლების კომიტეტი“.**

8.1.3 ,,**კომიტეტის“** ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება;

8.1.4 **,,კომიტეტის“** მოწვეული წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **,,კომიტეტის“** შემადგენლობის 20%-ს;

8.1.5 **,,კომიტეტის“** მუშაობაში შეიძლება მოწვეულნი იყვნენ სპეციალისტები და ექსპერტები. ამ პირებს გააჩნიათ სათათბირო ხმის უფლება. მათი შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს **,,ფედერაციის გამგეობა“;**

8.1.6 **,,კომიტეტის“** წევრები თითონ წარადგენენ თავიანთ კანდიდატურას **,,კომიტეტის“** წევრად, ან სახელდება **,,გამგეობის“** წევრების ან/და **,,კომიტეტის“** თავჯდომარის მიერ. **,,ბაფ**“-ის **,,გამგეობაზე“** დასამტკიცებლად **,,კომიტეტის“** წევრობის კანდიდატების წარდგენა ხდება **,,კომიტეტის“** თავმჯდომარის მიერ, კანდიდატის განაცხადის საფუძველზე. **,,კომიტეტის“** წევრები **,,ფედერაციის**“ გამგეობის მიერ მტკიცდება 2 წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ **,,კომიტეტის“** წევრებს უფლებამოსილება უნარჩუნდებათ **,,კომიტეტის“** ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე. **,,კომიტეტის“** ნებისმიერი წევრი შეიძლება დამტკიცებული იყოს ახალი ვადით. **,,კომიტეტის“**

წევრები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ანაზღაურების გარეშე. როდესაც **,,კომიტეტის“** წევრის საქმიანობა მნიშვნელოვნად აღემატება უანგარო შრომის გონივრულ ზღვარს, შესაძლოა დადგეს ამ წევრის ანაზღაურების საკითხი.

8.1..7 **,,კომიტეტის“** წევრები მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე;

8.1.8 **,,კომიტეტის“** წევრი:

ა) უნდა იყოს **,,ბაფ“**-ის საქმიანობის აქტიური მონაწილე;

ბ) უნდა ჰქონდეს საკმარისი ცოდნა, პროფესიული შესაძლებლობა და პრაქტიკული გამოცდილება **,,კომიტეტის წევრის“** ფუნქციების განსახორციელებლად;

გ)**,,კომიტეტში“** მუშაობისას უნდა ხელმძღვანელობდეს საზოგადოებრივი და პროფესიული ინტერესებით;

დ) უნდა ჰქონდეს გამოცდილება:

− განათლებისა და სერტიფიცირების სფეროში;

- პედაგოგიურ და სასწავლო - სამეცნიერო მუშაობაში;

8.2 **,,კომიტეტის“ წევრების ვალდებულება, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილების შეწყვეტა**

8.2.1 **,,კომიტეტის“** წევრი ვალდებულია რეგულარულად დაესწროს **,,კომიტეტის“** სხდომებს, განიხილოს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები და მიიღოს პირადი გადაწყვეტილებები კენჭისყრაზე გატალინ საკითხებთან მიმართებაში.

8.2.2 თუ **,,კომიტეტის“** წევრს რაღაც მიზეზით არ შეუძლია დაესწროს **,,კომიტეტის“** სხდომას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს **,,კომიტეტის“** თავმჯდომარეს. თუ **,,კომიტეტის“** წევრი გაუმართლებელი მიზეზის გამო არ დაესწრება ზედიზედ 3 სხდომას, ან გააცდენს წელიწადში ჩატარებული სხდომების 50%-ზე მეტს, მაშინ თავმჯდომარე **,,კომიტეტის“** წევრთა უმრავლესობის თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას მისი **,,კომიტეტის“** შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება დამტკიცემას **,,გამგეობის“** სხდომის მიერ;

8.2.3 თუ **,,კომიტეტის“** წევრის კომპეტენტურობის შესახებ წარმოიშვა ეჭვი, **,,კომიტეტის“** თავმჯდომარის ან **,,გამგეობის“** წევრთა 2/3 - ის ინიციატივით შეიძლება გამგეობის სხდომაზე დაისვას საკითხი ასეთი წევრის **,,კომიტეტის“** შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ.

8.2.4 **,,კომიტეტის“** წევრს უფლებამოსილება უწყდება, თუ:

ა) ნებაყოფლობით გადადგა;

ბ) მის მიმართ შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად;

8.2.5 წევრის **,,კომიტეტიდან“** გამოყვანა ხდება მხოლოდ **,,ბაფ“**-ის **,,გამგეობის“** გადაწყვეტილებით.

8.2.6 **,,კომიტეტის“** წევრს უფლება აქვს თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. კომიტეტის თავმჯდომარე

9..1 **,,კომიტეტის**“ მუშაობას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე;

9.2 თავჯდომარეს 2 წლის ვადით ირჩევს **,,გამგეობა“,** არა უმეტეს სამი საარჩევნო პერიოდისა.

9.3. თავჯდომარე არის **,,კომიტეტის”** წევრი.

9.4. თავჯდომარე წარმოადგენს **,,კომიტეტს” ,,ბაფის”** გამგეობასთან ურთიერთობაში.

9. 5 ,,**კომიტეტის“** თავმჯდომარის **კანდიდატურას** ამტკიცებს **,,ფედერაციის“** გამგეობა.

9.6 თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს **,,კომიტეტის“** მუშაობას, პასუხს აგებს **,,კომიტეტის“** მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საპროცედურო წესების დაცვასა და ამ გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაზე;

9.7 **,,კომიტეტის“** თავმჯდომარე ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) იწვევს **,,კომიტეტის“** სხდომებს;

ბ) თავმჯდომარეობს **,,კომიტეტის“** სხდომებს;

გ) წარმოადგენს კომიტეტს **,,ფედერაციის“** გამგეობის სხდომებზე;

დ) **,,კომიტეტის“** საქმიანობის შესახებ ანგარიშით წარდგება **,,ფედერაციის“ ,,გამგეობის“** წინაშე წელიწადში ორჯერ;

ე) **,,კომიტეტის“** საქმიანობის შესახებ ანგარიშით წარდგება ფედერაციის **,,საერთო კრების“** წინაშე;

ვ) **,,ბაფ“**-ის სამოქმედო გეგმის საფუძველზე შეიმუშავებს **,,კომიტეტის“** ყოველწლიურ სამუშაო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს ფედერაციის **,,გამგეობას“**;

ზ) უზრუნველყოფს **,,კომიტეტის“** სხდომების ოქმების წარმოებას;

თ) **,,ფედერაციის გამგეობას“** წარუდგენს წინადადებას **,,კომიტეტის“** წევრთა რაოდენობისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ;

ი) ამყარებს კავშირს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების პროფესიული ორგანიზაციების შესაბამის **,,კომიტეტებთან“.**

9.8 თავმჯდომარეს უფლება აქვს, გადადგეს თანამდებობიდან, მაგრამ შეასრულოს **,,კომიტეტის“** წევრის ფუნქციები დარჩენილი ვადით.

9.9 **,,კომიტეტის“** თავმჯდომარე ვალდებულია, თავად მიიღოს მონაწილეობა (საჭიროებისამებრ) სხვა **,,კომიტეტების“** და **,,გამგეობის“** მუშაობაში ან დანიშნოს **,,კომიტეტის“** სხვა წევრი ამ ფუნქციის შესასრულებლად.

9.10 თავმჯდომარე უფლებამოსილია **,,ფედერაციის გამგეობის“** წინაშე დასვას საკითხი **,,კომიტეტის“** ცალკეული წევრის მისი შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ, ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.11 **,,კომიტეტის“ თავმჯდომარის პასუხისმგებლობა**

9.11.1 **,,კომიტეტის“** თავმჯდომარე, რომელიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ან არაკეთილსინდისიერად ასრულებს მას, შეიძლება განთავისუფლებული იქნას თავმჯდომარის თანამდებობიდან **,,გამგეობის“** გადაწყვეტილებით.

9.11.2 ამ მუხლით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობისას დგება თავმჯდომარის გადარჩევის საკითხი. თავმჯდომარეობიდან გადაყენებულ პირს უნარჩუნდება **,,კომიტეტის“** წევრობის უფლება. ახალი თავმჯდომარე აირჩევა

დარჩენილი ვადით **,,კომიტეტის“** თავმჯდომარის გადაყენებიდან ერთი თვის განმავლობაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 10. კომიტეტის მუშაობის წესი

10.1 **,,კომიტეტი“** თავის ფუნქციებს ახორციელებს სხდომების მეშვეობით;

10.2 **,,კომიტეტის“** სხდომები საჯაროა და ტარდება სულ მცირე კვარტალში ერთხელ, კვარტლის ბოლო თვის ბოლო დეკადში. რიგგარეშე სხდომის მოწვევა ხდება **,,კომიტეტის“** თავმჯდომარის მიერ (საჭიროებისამებრ), ან მასთან შეთანხმებით, **,,კომიტეტის“** ნებისმიერი სამი წევრის ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე;

10.3. **,,კომიტეტის“** სხდომებს წარმართავს თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას წარმართავს **,,კომიტეტის“** არამოწვეული წევრი, რომელსაც თავმჯდომარე გადასცემს ამ უფლებამოსილებას. ამ პირობის არარსებობისას **,,კომიტეტის“** წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს; სხდომის მდივნის ფუნქციას ასრულებს სხდომაზე მყოფი **,,კომიტეტის“** რომელიმე წევრი;

10.4 **,,კომიტეტის“** თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ხმის მიცემის ფორმას განსაზღვრავს სხდომა;

10.5 **,,კომიტეტის“** სხდომაზე განიხილება დღის წესრიგში შეტანილი საკითხები.

,,კომიტეტის“ სხდომის თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი **,,კომიტეტის“** წევრებსა და **,,გამგეობის“** წევრებს ეცნობებათ მინიმუმ ერთი კვირით ადრე. **,,კომიტეტის“** ნებისმიერი წევრის ინიციატივით შეიძლება დღის წესრიგში შეტანილ იქნას დამატებითი საკითხი. დამატებითი საკითხის შეტანა ხდება კენჭისყრის შემდეგ, თუ მას მხარს დაუჭერს **,,კომიტეტის“** სხდომაზე დამსწრე წევრების ნახევარზე მეტი;

10.6.**,,კომიტეტის“** სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სხდომაზე არ არის ქვორუმი, **,,კომიტეტის“** თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას სხდომის ჩატარების ახალი თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;

10.7 **,,კომიტეტის“** სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარის ხმა არის გადამწყვეტი. მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ წევრს უფლება აქვს სიტყვიერად ან წერილობით გამოთქვას თავისი აზრი. იგი დაფიქსირებული უნდა იყოს სხდომის ოქმში.

10.8.**,,კომიტეტის“** სხდომებში მრჩევლის სტატუსით და სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მონაწილეობდნენ მოწვეული ექსპერტები, **,,გამგეობის“** წევრები და **,,ბაფ“**-ის ადმინისტრაციის აღმასრულებელი აპარატი და სხვა;

10.9 **,,კომიტეტის“** გადაწყვეტილებით შეიძლება რომელიმე წევრს ან მოწვეულ ექსპერტს დაეკისროს **,,კომიტეტის“** სხდომაზე განსახილველი დოკუმენტის პროექტის მომზადება. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას დოკუმენტის შექმნელი ჯგუფი **,,კომიტეტის“** წევრებისა და ექსპერტების შემადგენლობით;

10.10**,,კომიტეტის“** სხდომა მიმდინარეობს არა უმეტეს 2 საათისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული ხანგძლივობა, დღის წესრიგში სათანადო მითითების პირობით;

10.11 განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხის არსებობის შემთხვევაში მისი რიგგარეშე განხილვის მიზნით დღის წესრიგში ცვლილება და/ან სასწრაფო წესით განსახილველი დოკუმენტების მიწოდება შეიძლება მოხდეს სხდომამდე სულ მცირე ორი სამუშაო დღით ადრე ან/და ელექტრონული კორესპონდენციის ფორმით და გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს გამოკითხვის წესით;

10.12 იმ შემთხვევაში, თუ ,,**კომიტეტის**“ სხდომის მსვლელობისას ვერ მოხერხდა განხილული საკითხის ან/და დოკუმენტების საბოლოო სახით დამტკიცება, შესაძლებელი ეს მოხდეს დამატებითი ელექტრონული კორესპონდენციის გამოყენებით და გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს გამოკითხვის წესით;

10.13 **,,კომიტეტის“** ყველა სხდომის შესახებ დგება ოქმი.

10.14 წევრს უფლება აქვს, დაუბრკოლებლად მიიღოს **,,კომიტეტში“** არსებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

10.15 ,,**კომიტეტის**“ საქმიანობას, გეგმის შესაბამისად სხდომების გამართვისა და დოკუმენაციის წარმოდგენის კუთხით, ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი დირექტორი.

10.16 **,,კომიტეტი“** თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს **,,ბაფის“** გამგეობას. ეს ანგარიში უნდა იყოს ხელმისაწვდომი **,, ბაფის“** ვებგვერდის მეშვეობით.

10.17 **,,ბაფ“**-ის გამგეობა უფლებამოსილია დაამტკიცოს უცვლელად, უარყოს ან შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ,,**კომიტეტის“** მიერ გამგეობის სხდომაზე განსახილველად გატანილ გადაწყვეტილებებში.

მუხლი 11. კომიტეტის საქმიანობის დოკუმენტაცია

11.1.**,,კომიტეტისა“** და მისი სტრუქტურული რგოლების სხდომის ოქმები, ასევე **,,კომიტეტში“** შემუშავებული დოკუმენტები ფორმდება წერილობით და გადაეცემა აღმასრულებელ დირექტორს;

11.2**,,კომიტეტის“/,,ქვეკომიტეტის“** თავმჯდომარე უზრუნველყოფს სხდომის ოქმების გაფორმებას, დღის წესრიგისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების გაფორმებასა და დაგზავნას წევრებისთვის;

11.3 **„კომიტეტისა“** და მისი სტრუქტურული რგოლების სხდომის ოქმები, ასევე **„კომიტეტში“** შემუშავებული სხვა დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის უფლება აქვს ბაფის ნებისმიერ წევრს;

11.4 სერტიფიცირების პროგრამებში მონაწილე პირების საგამოცდო ნაშრომები არ არის საჯარო და ინახება სპეციალურად გამოყოფილ სეიფებში;

11.5 **„კომიტეტის“** საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შენახვის ვადაა 6 წელი.

მუხლი 12. სერტიფიცირებული ბუღალტრის სერტიფიკატი

12.1 სერტიფიცირების პროგრამების კურსდამთავრებულებზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

12.2 სერტიფიკატის ესკიზს ქმნის **„განათლების კომიტეტი“.** სერტიფიცირებული ბუღალტრის სერტიფიკატების ესკიზი უნდა იყოს განსხვავებული, სერტიფიცირების პროგრამის მიხედვით.

12.3 „განათლების კომიტეტი“ სერტიფიკატს გასაცემად ამზადებს გამოცდის დასრულებიდან 20 დღის და გამოცდის შედეგების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 13. დებულების ძალაში შესვლა

13.1. დებულება ძალაშია 2019 წლის 4 აპრილიდან.